საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

№ 424 2008 წლის 3 სექტემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული სამომარი მდგომარეობის ვადამდე გაუქმებისა და საქართველოს ცალკეულ ტერიტორიებზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ

2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებისა და სხვა ხელშეკრულებებით ნაკისრი ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულებებიდან გამომდინარე, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შეწყვიტეს ცეცხლი, დაუბრუნდნენ დისლოკაციის ადგილებს და აღარ აწარმოებენ სამხედრო მოქმედებებს. ამავდროულად, მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური ძალისხმევისა, რუსეთის შეიარაღებული ძალების ნაწილები აგრძელებენ საქართველოს ცალკეული ტერიტორიების ოკუპაციას და უკანონოდ იკავებენ დასახლებულ პუნქტებს, ცალკეულ ტერიტორიებზე ახდენენ სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირებას, აბრკოლებენ ჰუმანიტარული ტვირთებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების გადაადგილებას, რითაც რუსეთი ასევე არღვევს ზემოაღნიშნული შეთანხმებით გათვალისწინებული ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალი

მიწოდების გარანტირებულ პრინციპებს და ქმნის საქართველოს ეკონომიკური სტაბილურობისა და შემდგომი ეკონომიკური განვითარების მოშლის წინაპირობებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღარ ხორციელდება საომარი მოქმედებები, რუსული მხარის მიერ ცალკეული ტერიტორიების ოკუპირება კვლავ ქმნის სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მნიშვნელოვან საფრთხეს.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ქვეყანაში დესტაბილიზაციის თავიდან აცილების, მართლწესრიგის აღსადგენად საჭირო ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების და ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საომარი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონისა და „საგანგებო მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად:

1. ეთხოვოს თანხმობა საქართველოს პარლამენტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული საომარი მდგომარეობის ვადამდე გაუქმების შესახებ 2008 წლის 4 სექტემბრიდან.

2. 2008 წლის 4 სექტემბრიდან გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო საჯარისო შენაერთების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე.

3. საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადა განისაზღვროს 15 დღით.

4. ეს ბრძანებულება 48 საათში წარედგინოს საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

5. ბრძანებულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, ხოლო შემდგომ (ერთი დღის განმავლობაში) ყოველ 2 საათში ერთხელ გადაიცეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით.

6. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ე.ტყეშელაშვილი) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს.

7. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

მიხეილ სააკაშვილი